



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N4**

ქ.ლანჩხუთი

28.02.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ საკრებულოს დეპუტატებს, მოწვეულ სტუმრებს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და სრულიად საქართველოს მიულოცა ვიზალიბერალიზაციის პროცესში მიღწეული დიდი წარმატება.

მისი განმარტებით დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ, საკრებულოში შემოვიდა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებულ საკითხთან ერთად:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატვიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

5. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ედუარდ შევარდნაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ი.ჩხაიძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ.ბიწაძე/

11. სხვადასხვა :

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის N473 დადგენილების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები: ტექნიკური რეგლამენტი - საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური წარმოების ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ შემდეგი რედაქტირებით:

1. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმები.
2. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებმა 2016 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ ღონისძიებების გატარება დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
3. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შერჩევითი კონტროლის განხორციელება დაიწყო 2016 წლის 15 იანვრიდან.

ასევე, შეტანილ იქნა ცვლილება კანონში „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. აღნიშნული ცვლილება შეტანილ იქნა 2016 წლის 24 ივლისს, რომელიც ეხება „ტექნიკური რეგლამენტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული

ნორმების დამტკიცების შესახებ“. შეტანილი ცვლილებების მიხედვით საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების შეუსრულებლობა გამოიწვევს ფიზიკური პირების და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების დაჯარიმებას 50 ლარის, ხოლო იურიდიული პირების - 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირის - 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 500 ლარით დაჯარიმებას. ასევე, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისი საქმიანობით არ იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გამოიწვევს მათ დაჯარიმებას შესაბამისად 500 და 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული კანონი ძალაშია გამოქვეყნების დღიდან (2016 წლის 24 ივლისი). შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილება ა(ა)იპ - ის დებულებაში. ამასთან, ა(ა)იპ - ის „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მარტის ბრძანება N62 - ის საფუძველზე დაევალა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება და კონტროლი. აქედან გამომდინარე, გასულ წელს ა(ა)იპ - ის „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ პირველ რიგში ჩატარდა მონიტორინგი. მოხდა იმ დაწესებულებების აღრიცხვა, რომლებიც არიან რეგისტრირებული და ეწევიან აღნიშნულ საქმიანობას. ასეთი დაწესებულება სულ იყო 11, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ფუნქციონირებს - 9. ყველა მათგანს მიეცა სათანადო რეკომენდაცია აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე. ასევე გადამოწმებულ იქნა საჯარო რეესტრში გაცემული ნებართვა მათი საქმიანობის შესახებ და გადაეცათ დოკუმენტი აღნიშნული ცვლილებების შესახებ.

დ.კ.ე.ც-ს მიერ მოწოდებული კითხვარის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი, მოსამსახურე პერსონალი გაფრთხილებულ იქნა აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დაცვის თაობაზე, მიეცათ გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. დაურიგდათ შესაბამისი კითხვარი - სახელმძღვანელო, რომლის შესრულებაზე დადასტურება მოხდა მათივე ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, კანონის შესაბამისად ა(ა)იპ - ის „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ აქვს უფლებამოსილება ჩატაროს შერჩევითი მონიტორინგი აღნიშნულ ობიექტებზე წლის ნებისმიერ დროს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. სანქციების გატარებისთვის აუცილებელია ა(ა)იპ - ის გადაეცეს დარღვევის აქტის დადასტურების შესაბამისი ფორმა, რომელიც გააჩნია მუნიციპალიტეტის გამგეობას. აღნიშნულ მონიტორინგს და სანქცირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ექიმი - ჰიგიენისტი ე.ჯიბლაძე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას და მის პრევენციას გულისხმობს. იგი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტში მოქმედი აღნიშნული ტიპის დაწესებულებები რამდენად შეასრულებენ დადგენილ რეგულაციებს.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დერექტორმა **ვლადიმერ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ დაწესებულებებს გაეწიათ კონსულტაცია თუ სად შეუძლიათ შეიძინონ სადენზინფექციო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ პროცედურის შესრულების დროს, ასევე გამოყენებული ინსტრუმენტების დეზინფექციისათვის. სამსახურის მიერ მოსამსახურე პერსონალი გაფრთხილებულ იქნა აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დაცვის თაობაზე, მიეცათ გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. დაურიგდათ შესაბამისი კითხვარი - სახელმძღვანელო, რომლის შესრულებაზე დადასტურება მოხდა მათივე ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, კანონის შესაბამისად ა(ა)იპ - ის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს შერჩევითი მონიტორინგი აღნიშნულ ობიექტებზე წლის ნებისმიერ დროს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები .

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულებისპროექტს:

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა განკარგულება N12 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილების აუცილებლობა განაპირობა მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ, რომლის მიხედვითაც დაკონკრეტდა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა/შეცვლა, დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ ინიციატივის განხილვა და შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენა უნდა მოხდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

დეპუტატი **ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა**, რომ სოფელ მალთაყვაში ლანჩხუთისა და ფოთის მუნიციპალიტეტებს შორის არსებული საზღვარი პირობითია თუ არა , რადგან ხშირად ხდება საზღვრის გადაწევ-გადმოწევა, რაც გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს მუნიციპალიტეტებს შორის. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, აღნიშნული დადგენილება დაარეგულირებს თუ არა მსგავს პრობლემებს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ ორგანული კანონის თანახმად დასახლებად განიხილება, სოფელი, დაბა, ქალაქი. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს შორის არსებულ საზღვრების დარღვევებზე წარმოდგენილი დადგენილება ვერ იმოქმედებს, საუბარია მხოლოდ მუნიციპალიტეტის შიდა საზღვრების დარღვევებზე.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ დარღვეულია საზღვარი შუხუთისა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. იგი დაინტერესდა თუ ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა უნდა დაიწყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შემდგომ გადაიგზავნება მთავრობაში, რომელიც საბოლოოდ თავად იღებს გადაწყვეტილებას.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა დადგენილება N4 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე 5-ე მუხლში შევიდა ცვლილება („სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე N99; 2016 წლის 16 დეკემბერი) და განისაზღვრა ახალი განაკვეთები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი პირებისათვის. ზემო აღნიშნული ცვლილება მოითხოვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „N34-ის მე 5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს კანონთან შესაბამისობაში. სამსახურმა შეიმუშავა და მიზანშეწონილად მიაჩნია სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000(ორასომოცდაათი ათასი)ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე- ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %.

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტულიან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე- კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 5000 (ხუთი ათასი)ლარი.

თუსამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

**მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.
მიღებულ იქნა დადგენილება N5 (28.02. 2017 წელი).**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განაკვეთები არ შეცვლილა და იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა). ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 9.12 ლარს.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 3.12 ლარს.

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

დ) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყლამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), მიწისნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს.

დეკუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

**მომხრე: 27 დეკუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეკუტატი.
მიღებულ იქნა დადგენილება N6 (28.02. 2017 წელი).**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ.

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5-ჯერ

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნება ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის-საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების ღირებულების 2 პროცენტი

100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:

- 1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული)-20 ლარი/ჰა
- 2) სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)- 16 ლარი/ჰა
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)-73 ლარი/ჰა
- 4) საკარ-მიდამო-73 ლარი/ჰა
- 5) სათიბი- 20 ლარი/ჰა
- 6) სამოვარი- 16 ლარი/ჰა
- 7) სახნავი- 73 ლარი/ჰა

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსები (მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი, რომელმაც ერთ ჰექტარზე შეადგინა -3 ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვრა შემდეგი ოდენობით ლარებში:

1)ქ.ლანჩხუთი-(წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.24 ლარი

2)ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.216 ლარი

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას ექვემდებარება:

საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები,რომლის ფართობი არ აღემატება 600კვ.მ.-ს

ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არარემატება 24 კვ.მ.-ს.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომისთავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილებისპროექტს:

**მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი .
მიღებულ იქნა დადგენილება N7 (28.02. 2017 წელი).**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შევიდა ცვლილება - დაემატა ოთხი ობიექტი, რომელთა გადატანა ვერ მოხდა ქონების პრივატიზაციის გეგმაში, რადგან ამ ეტაპზე აუდიტის მიერ არ არის განსაზღვრული მათი ღირებულება. ეს ობიექტებია: ქვემო აკეთში საბავშვო ბაღის შენობა, რომლის მშენებლობა დაწყებულია წლების წინ, მაგრამ დაუსრულებელია. შენობა ნადგურდება და დანგრევის პირასაა; ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დამწვარი ადმინისტრაციული შენობა თავისი მიწის ნაკვეთით; მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა; გვიშაღალის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა. აუდიტის მიერ განისაზღვრება თითოეული ამ ობიექტის ფასი, რის შემდეგაც მოხდება მათი გადატანა ქონების პრივატიზაციის გეგმაში და შესაბამისად, გატანილ იქნებიან აუქციონზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, ბიუროს სხდომაზე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი მხარს დაუჭერს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის (სადაც მედ. პუნქტია განთავსებული) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი გადმოცემა, გარემონტება და მასში სოფლის ადმინისტრაციის განთავსება. მაგრამ ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაჟორიტარი დეპუტატის, ნინო წილოსანის შუამდგომლობით და დახმარებით აღნიშნულ შენობაში შესაძლოა განთავსდეს იუსტიციის სახლი, რაც მხოლოდ მისასაღმებელი იქნება. საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს, შეაჩეროს აღნიშნული ობიექტის (ასევე მიწის ნაკეთის) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**, აღნიშნა რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილია აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა. მისი მოსაზრებით შესაძლოა მასში ისევ საბავშვო ბავშვები განთავსდეს.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ აღნიშნულ შენობაში საბავშვო ბავშვები არასდროს ფუნქციონირებდა. დღეს მხოლოდ შენობის ნაგრევებია დარჩენილი.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მას არაერთხელ დაუყენებია შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი კულტურის სახლის შენობის საკითხი, რომელიც არის სავალალო მდგომარეობაში. მან მუნიციპალიტეტის შესამაბი სამსახურისგან მიიღო წერილი, რომ მოხდებოდა შენობის შესწავლა, ექსპერტიზის ჩატარება, დადგინდებოდა, თუ რა სახის სამუშაოების ჩატარება ესაჭიროება შენობა-ნაგებობას, რაც დღემდე არ განხორციელებულა. სოფლის მაცხოვრებლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან შენობის დაშლას. მათი მოთხოვნაა შენობას-ნაგებობას ჩაუტარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა აღნიშნული შენობა-ნაგებობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლის შენობის შეტანა საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იყო. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ შენობა-ნაგებობას ჩაუტარდეს „სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, ექვემდებარება თუ არა შენობა-ნაგებობა აღდგენას, თუ უნდა მოხდეს მისი დემონტაჟი.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან არის დაინტერესება, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი რესტორნის შენობაში განთავსდეს იუსტიციის სახლი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ ვის საკუთრებაშია აღნიშნული შენობა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია**მ განმარტა, რომ მისი სამსახური რამდენჯერმე დაინტერესდა, თუ ვის საკუთრებაშია რეალურად ყოფილი რესტორნის შენობა. რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის სამინისტროსგან მიიღო წერილი, რომ აღნიშნული შენობის ირგვლივ მიმდინარეობს სამართლებრივი დავა კერძო პირსა და სახელწიფოს შორის, რომელიც დღემდე დასრულებული არ არის.

საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **კახა ურუშაძემ** განმარტა, რომ ყოფილი რესტორნის შენობის შესახებ წლებია დავა მიმდინარეობს სახელწიფოსა და მისი ახლო ნათესავის ოჯახს შორის. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო პროცესი წააგო ეკონომიკის სამინისტრომ. მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვადის** მიერ დაყენებული წინადადების გათალისწინებებით, რომელიც გულისხმობს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული (დამწვარი) შენობის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებას.

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი დეპუტატი.
მიღებულ იქნა განკარგულება N13 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხია**მ. მან აღნიშნა, რომ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, რომლის მოთხოვნების შესასრულებლადაც გამგეობაში შეიქმნა კომისია. მას სრულყოფილი მუშაობისათვის ესაჭიროება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესი-

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/ და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ. მისი აზრით, ეს საკითხი მისაღებია დროულად, რადგან 2011 წლის შემდეგ არ მომხდარა უძრავი და მოძრავი ქონების ჩამოწერა, რომლებიც ამას ექვემდებარებოდნენ.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, წარმოდგენილი წესი მოქმედებს თუ არა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ გამოუყენებელ და ჩამოსაწერ ავტომობილებზე.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო დამუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილი** განმარტა, რომ აღნიშნული წესი შეეხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ყველა ქონებას. მისი თქმით, გამოუყენებელი ან მორალურად გაცვეთილი ქონება ექვემდებარება ჩამოწერას, რა თქმა უნდა, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა განკარგულება N14 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, **მაგული კუნჭულიანი**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის საჯარო მოხელეების უწყვეტი სწავლებისათვის ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებულია მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით ამ კუთხით ბიუჯეტში ასახულია სახელფასო ფონდის 1 %, რაც საერთო ჯამში შეადგენს 16 900 ლარს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასული წლის ოქტომბრის თვეში წერილობით აცნობა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ- მოწოდების საკითხი საბოლოოდ მოგვარდებოდა, პრობლემა კი დღემდე არ გადაჭრილა. იგი დაინტერესდა, თუ რატომ ვერ მოგვარდა აღნიშნული საკითხი.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, **მაგული კუნჭულიანი** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარდა ექსპერტიზა და დაიდო დასკვნა. ასვე ჩატარდა ტენდერი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თანხები ბოლომდე საკმარისი არ იყო აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიას** განმარტებით სპეციალისტების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად საკმარისი იქნებოდა 9000 ლარი, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო 12 000 ლარი. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ექსპერტიზის ჩატარება. 2017 წლის ბიუჯეტში არ აღმოჩნდა საკმარისი შესაბამის მუხლზე გათვალისწინებული თანხა. მისი თქმით, მოძიებულ იქნება შესაბამისი სახსრები, გამოცხადდება ტენდერი და აღნიშნული პრობლემა დადებითად გადაიჭრება.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი .

მიღებულ იქნა განკარგულება N15 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ედუარდ შევარდნაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნას გამორჩეული ადამიანის, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის, ექსპრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სახელობის სახლ-მუზეუმი. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსისა და სახელწიფო მოღვაწის ედუარდ შევარდნაძის მშობლიურ სახლში მემორიალური სახლ-მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფი. ყველანი ერთად სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან, ასევე არის მზაობა მუნიციპალიტეტის გამგებლისგან, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატისგან რომ ეს ინიციატივა განხორციელდეს. იგი იმედოვნებს, რომ სულ მალე მუნიციპალიტეტს შეემატება ძალიან მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი და საქართველოს ტურისტულ მარშრუტებს შორის წამყვან ადგილს დაიკავებს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**, აღნიშნა რომ იგი უარს აცხადებს გაწვევიანდეს მუშა ჯგუფში, ვინაიდან კანონმდებლობა არ იძლევა ამის საშუალებას, კერძოდ გამოვა, რომ ფრაქციიდან 2 დეპუტატი იქნება წარმოდგენილი. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფის შექმნა უნდა დაკომპლექტდეს ფრაქციებიდან და არა კომისიებიდან.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, თავის დროზე მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა შესრულებული მუზეუმი რომ დაარსებულიყო და ის პირადად მონაწილეობდა ბატონ გია ცინცაძესთან ერთად აღნიშნულ პროცესში. ის მიიჩნევს, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან ყელაფერი მომზადებულია იმისათვის, რომ მუზეუმი გაიხსნას.

საკრებულო თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, თავის დროზე ბატონმა გია ცინცაძემ მართლაც მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა სახლ-მუზეუმისთვის, მაგრამ რამდენიმე დღის წინ იგი პირადად იმყოფებოდა მამათში, ადგილზე დაათვალიერა თუ რა მდომარეობაშია სახლი. მისი თქმით, გარკვეული სამუშაოები არის ჩასატარებელი, როგორც ეზოში, ასევე უშუალოდ სახლში. მან ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულ წილად ეთანხმება საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს რომან ბიწაძეს. მუშა ჯგუფთან ერთად პროცესში ჩაერთვება 31-ვე დეპუტატი, მთელი მუნიციპალიტეტი და ლანჩხუთს შეემატება კიდევ ერთი ძალიან კარგი სახლ-მუზეუმი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ როდესაც საქართველოს ტურისტურ რუკაზე გამოჩნდება ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმი, იგი დარწმუნებულია უამრავი ტურისტი და დამთვალიერებელი გამოუჩნდება მას. განვითარდება ინფრასტრუქტურა, მოხდება მისი პოპულარიზაცია, გაჩნდება მეტი შემოსავალი, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის დიდი სიკეთის მომტანი იქნება.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ტურიზმის განყოფილების მიერ უფრო კომპლექსურად იყო წარმოდგენილი მამათის ადმინისტრაციული ერთეულის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, რომელშიც ასევე შედიოდა ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სახელობის სახლ-მუზეუმის გახსნა. იგი პირადად დაუკავშირდა შევარდნაძეების ოჯახს, რომლებმაც დიდი სურვილი და მზადყოფნა გამოთქვეს სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით. მისი მუშა ჯგუფში ჩართვის წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ სახლ-მუზეუმის გახსნას არ სჭირდება რამდენიმე თვე, საკმარისია მხოლოდ რამდენიმე დღე რომ გაფორმდეს შესაბამისი აქტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**, აღნიშნა რომ საკრებულომ მიიღოს განკარგულება, აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალოს დაევალოს მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იქნება თუ არის ოჯახი თანახმა გაიხსნას სახლ-

მუზეუმი და რა პირობებით გადმოსცემს მუნიციპალიტეტს სარგებლობაში თავიანთ ქონებას. იგი ამ საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს.

დეპუტატმა კახა ურუშაძემ აღნიშნა, რომ სამუშაოს ჯგუფის შექმნა აუცილებელია, ვინაიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებაა საჭირო. მისი თქმით, მხოლოდ ბატონ ნუგზარ შევარდნაძის თანხმობით არ გადაწყდება ეს საკითხი, აუცილებლად უნდა მოხდეს დეტალების გარკვევა ექსპრეზიდენტის დიდ ოჯახთან. სამუშაო ჯგუფის რომელიმე წევრი აქტიურად უნდა ჩაერთოს მოლაპარაკებებში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 17 დეპუტატი, კენჭიყრაში მონაწილეობა არ მიიღო 7 დეპუტატმა (რომან ბიწაძე, ომარ გოგიჩაიშვილი, დარეჯან ბურჭულაძე, ელისო ჭიჭინაძე, გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ელგუჯა ჩხაიძე) .

მიღებულ იქნა განკარგულება N16 (28.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 ~~2014~~ 24 ივლისის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, გელა კილაძემ, გამოთქვა სურვილი გაწევრიანდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, მისი თქმით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი კომისიაზე დასწრების აღრიცხვიანობა. ასევე საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე პარალელურად გახლდათ საკრებულოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და შესაბამისი ცვლილებებია განსახორციელებელი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი .

მიღებულ იქნა განკარგულება N17 (28.02. 2017 წელი).

სხვადასხვა:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით იგეგმება გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ადმინისტრაციის ქ. ლანჩხუთიდან ქ. ოზურგეთში გადატანა (რაც დაუშვებელია) მაშინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარის ძალისხმევით, გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის განთავსებული იყო ქალაქ ლანჩხუთში და მას ყოველთვის ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის მკვიდრი. მისი თქმით, 10 მარტს დაგეგმილია ყრილობა, სადაც აირჩევა გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ასევე აღნიშნულ ყრილობაზე იქნება გადაწყვეტილება მიღებული ფერედაციის ქ. ოზურგეთში გადატანაზე. დეპუტატმა მოუწოდა კოლეგებს, ფედერაციის შენობის წინ შეიკრიბონ და გააპროტესტონ ეს საკითხი. არჩევნები უნდა ჩატარდეს ლანჩხუთში და გურიის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაცია უნდა დარჩეს ასევე ქ. ლანჩხუთში.

დეპუტატმა **თეიურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ 10 მარტს გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ჩატარდება ლანჩხუთში. ფეხბურთის ფედერაციის ქ. ოზურგეთში გადატანას არავინ დაუშვებს.

საკრებულოს თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე** აღნიშნული ყრილობის დელეგატების ვინაობით დაინტერესდა.

დეპუტატმა **თეიურაზ ალექსაიამ** განმარტა, რომ ყრილობის დელეგატებს შორის იქნებიან საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“, ოზურგეთის „მერცხალის“, ჩოხატაურის „ბახმაროს“ წარმომადგენლები, აგრეთვე რეგიონში მოქმედი საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები. როგორც მისთვის ცნობილია დელეგატთა რაოდენობა შეადგენს შვიდი, სადაც ოთხი დელეგატი იქნება ლანჩხუთიდან.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ რადგან ახლოვდება ხვნა-თესვის სამუშაოები, მოსახლეობის თხოვნაა, ყველა თემში ჩატარდეს კრება, რომლებსაც დაესწრებიან მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, სადაც იქნება განხილული საკითხები თუ რამდენად გამართულ მდგომარეობაშია შესაბამისი ტექნიკა, ასევე რა დახმარების გაწევა შეეძლება მუნიციპალიტეტს მოსახლეობისთვის და ა.შ. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მან არაერთხელ დააყენა სუფსაში ადმინისტრაციული შენობის სასწრაფოდ გადახურვის საკითხი, პრობლემა კი დღემდე მოუგვარებელია. მისი თქმით, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში, სოფელ გრიგოლეთში 15 მარტს გაიმართება სოფლის კრება, სადაც განიხილება გრიგოლეთის დასუფთავების და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. დეპუტატმა მოუწოდა მუნიციპალიტეტის როგორც წარმომადგენლობით ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას აღნიშნულ კრებაზე დაესწროს მათი წარმომადგენლები.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთის საკურორტო ზონის გამოცხადების საკითხი არაერთხელ გაჟღერებულა საკრებულოს სხდომებზე,

მაგრამ რეალურად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მისი თქმით, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოინახოს სახსრები და პირველ რიგში მოხდეს გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის შესწავლა, რომელიც დაადგენს მის მაგნიტურ და სამკურნალო თვისებებს. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, როგორც მან ინფორმაცია მიიღო, ვერ შეუძლის ხელს გრიგოლეთის საკურორტო ზონად აღიარებას, რადგან თანამემდროვე სტანდარტები იძლევა იმის საშუალებას, რომ ეკოლოგიური მდგომარეობა მაქსიმალურად იქნას დაცული. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ გურიის რეგიონისთვის შეძენილი დასუფთავების მანქანები, რომლებიც ახორციელებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლის დასუფთავებას, მისი საშუალებით ასევე უნდა მომხდარიყო გრიგოლეთის სანაპირო ზოლის უსასყიდლოდ დასუფთავება, აღმოჩნდა რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ მანქანას ქირაობს. დეპუტატმა ასევე აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფეხბურთო სტადიონები არის სავალალო მდგომარეობაში. მაგალითისთვის მოიყვანა ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე „დუნდუას“ სახელობის სტადიონი, რომელიც ძლიერი ქარის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა, აღდგენითი სამუშაოები კი დღემდე არ ჩატარებია.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიაში საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოსულია განცხადება, რომელიც უკავშირდება მერაბ ჟორდანიას მიერ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ შექმნის საკითხს. დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, აღნიშნული საკითხს განხილვა კომისიებში და ფრაქციებში დაჩქარდეს, რადგან არ მოხდეს საფეხბურთო კლუბის საქმიანობის ხელშეშლა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირი მომართვა ჯერჯერობით შემოსული არ არის.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, გამოდის თითქოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შეგნებულად აჭიანურებს და ხელს უშლის ამ აპროცესს. პირიქით, საკრებულო მიესალმება თუ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ნორმალური პატრონი გამოუჩნდა. თუ ეს რეალობაა, ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს საკრებულოს კლუბის მომავალი მეპატრონე და ჩააყენოს საქმის კურსში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, ეტყობა ბატონი ჟორდანიას რაიმე სტიქიას ელოდება, რომ მოვიდეს და დაელპარაკოს საკრებულოს, რადგან მუნიციპალიტეტს თანხები მხოლოდ სტიქიის დროს თუ აქვს. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი სულდგმულობს მხოლოდ სტიქიიდან სტიქიამდე, რაც ძალიან ჰგავს წყნარი ოკეანის ქვეყნებს, რომლებიც ელოდებიან როდის დაეცემა ცუნამი რომელიმე ქალაქს და მთელი მოფლიო რა დახმარებას აღმოუჩენს მათ, მანამდე კი

არფერს არ აკეთებენ. დეპუტატის თქმით, სამწუხაროდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიც მსგავს სიტუაციაშია .

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთში საკურორტო ზონის სტატუსის მიღება ვერანაირი შედეგის მომტანი ვერ იქნება. მისი თქმით, უმჯობესია ხელი შეეწყოს ნავთობ -გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის მხარდაჭერას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ნავთობ-ინდუსტრიის განვითარებას ბევრად მეტი სიკეთის მოტანა შეეძლება მუნიციპალიტეტისთვის.

ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე სუფსის კალაპოტიდან მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს ინერტული მასალების ამოღება, რომელიც ძალიან დიდი დანაშაულია (თუნდაც ლიცენციაც იყო გაცემული).

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფლების ქუჩაზე გადასაჭრელია ნაძვის ხეები, (რომლის წაქცევამაც გამოიწვია „დუნდუას“ სახელობის სტადიონის დაზიანება) რომლებიც საფრთხის შემცველია ცენტრალური გაზსადენისთვის. მან არაერთხელ გააჟღერა ეს საკითხი, მაგრამ პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ მან რამდენიმე დღის წინ მოინახულა უპოვართა სასადილო. იგი კმაყოფილი დარჩა საკვების მენიუთი, ხარისხით, უკმაყოფილება გამოიწვია მხოლოდ ერთმა დეტალმა, შენობაში მკვეთრად იგრძნობა მომზადებული საკვების სუნი, კერძოდ, არ არის დამონტაჟებული შესაბამისი ჰაერის გამწოვები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მონიტორინგი ჩაუტარდა უპოვართა სასადილოს, რომელმაც დაადგინა, რომ შენობაში სასწრაფოდ დასამონტაჟებელია შესაბამისი ჰაერის გამწოვი საშუალებები.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ როდესაც თავის დროზე აღნიშნულ ადგილას უპოვართა სასადილო გაიხსნა, ეს მოხდა დროის მცირე მონაკვეთში, დაჩქარებული წესით. მისი მოსაზრებით, აუცილებელია უპოვართა სასადილო გადავიდეს სხვაგან, (რაც უფრო მოსახერხებელი იქნება) ხოლო ქალაქის ცენტრში გამოთავისუფლებული შენობა-ნაგებობა შევიდეს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ზეიმობს თეატრის 80 წლის იუბილეს, რაც ძალიან სასიხარულოა, მაგრამ თეატრის შენობის როგორც გარე ფასადი, ასევე მისი შიდა ნაწილი არის სავალალო მდომარეობაში, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო